

მურა დათვის პოპულაციის კონსერვაციის მოქმედებათა გეგმა თრიალეთის ქედისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისთვის



NACRES
თბილისი, მაისი 2006 წ.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა (EIP) წარმოადგენს BP-სა და მისი პარტნიორების (BTC Co და SCP Co. Ltd) მიერ წამოწყებულ და დაფინანსებულ ინიციატივას. ამ პროგრამის მთავარი მიზანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია. პროგრამა იყოფა რამდენიმე თემად, რომელიც გამოიკვეთა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის დროს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. პროექტი “ეკოსისტემებისა და სახეობების კონსერვაცია საქართველოში: მურა დათვი (ფაზა I)” სწორედ აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ თემს წარმოადგენს.

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია BP-სა და მისი პარტნიორი კომპანიების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანია (Bთქ) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია (შჩპ)) მხარდაჭერით. ამ დოკუმენტში მოცემულია NACRES-ის მოასზრებები და ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ განიხილულნი BP-ს ან მისი პარტნიორების (BTC/SCP) ოფიციალურ შეხედულებებად.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ პროექტის “ეკოსისტემებისა და სახეობების კონსერვაცია საქართველოში: მურა დათვი (ფაზა I)” საერთაშორისო კონსულტანტებს დოქტორებს ჯურო ჰუმბერსა და ჯონ სვენსონს, პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე განუზომელი წვლილისა და ამ დოკუმენტის შესახებ საყურადღებო რჩევებისა და კომენტარებისთვის; დოქტორებს დავით თარხნიშვილსა და კორტ ანდერსონს დათვის პოპულაციის რიცხოვნობის დასადგენად გენეტიკური ანალიზის ჩატარებასა და მონაცემთა დამუშავებაში დახმარებისთვის; პროექტის კონსულტანტს ბ-ნ ლერი ჭოჭუას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ტყეების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მოგროვება და დამუშავება; ACT International-ს პროექტის საკვლევ რეგიონში სოციო-ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევების მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებისთვის

პროექტის ფარგლებში დიდძალი სავლე მონაცემების შეგროვება და, შესაბამისად, "სახეობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის" მომზადება შეუძლებელი იქნებოდა სახეობათა კონსერვაციის ცენტრის მოხალისეების უანგარო დახმარების გარეშე. ამიტომ დიდ მადლობას ვუხდით: თამარ ჭუნაშვილს, ნატა ავალიანს, გიორგი სულამანიძეს, თამარ ხარძიანს, თათია ჭოჭუას, გიორგი მიდელაშვილს, ვანო სხირტლაძესა და ლევან მუმლაძეს.

ასევე მადლობას ვუცხადებთ ყველა ადამიანსა თუ ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ " მურა დათვის კონსერვაციის მოქმედებათა გეგმის" და "სახეობის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის" განხილვებში და მოგვაწოდეს თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექციას მხარდაჭერისა და დოკუმენტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობისთვის.

პრეამბულა

მურა დათვი, მსოფლიოში არსებულ დათვებს შორის, ყველაზე ფართოდაა გარცელებული, თუმცა, მისი საარსებო გარემოს (ჰაბიტატის) ათვისებისა და გადამეტებული ნადირობის გამო, მისი არეალი ზოგიერთ ქვეყანაში კატასტროფულად მცირდება, ხოლო ევროპის მრავალ ქვეყანაში იგი უკვე გადაშენებულია. ამიტომ, "ველური ცხოველებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის შესახებ ევროპული კონვენცია" (ე.წ. ბერნის კონვენცია) მურა დათვს ერთ-ერთ პრიორიტეტულ სახეობად განიხილავს და მთელს ევროპაში მის მკაცრ დაცვას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა რომ საქართველო ჯერ-ჯერობით არ წარმოადგენს ამ კონვენციის მხარე ქვეყანას, საქართველოს მურა დათვის პოპულაციის შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპული (ისევე როგორც გლობალური) ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების კონტექტში. ახლახან მურა დათვი, როგორც გადაშენების პირას მყოფი სახეობა, შევიდა საქართველოს წითელ ნუსხაშიც, რაც ამ სახეობის დაცვის მნიშვნელოვან საკანონმდებლო ბაზას ქმნის ეროვნულ დონეზე. მიუხედავად ამისა, აუცილებელია შემდგომი სასწრაფო ნაბიჯების განხორციელება როგორც კანონმდებლების, ისე კონკრეტული კონსერვაციული ღონისძიებების დანერგვის კუთხით. ამასთან, "საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა", რომელიც მიღებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 19 თებერვლის №27 დადგენილებით, ითვალისწინებს კონსერვაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სახეობებისთვის კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმების შექმნას (თავი II, ქვეთავი 2.2, პუნქტი B15).

საქართველოს მურა დათვის პოპულაცია პირობითად სამ ერთეულად (სუბპოპულაციად) შეიძლება დაიყოს: დიდი კავკასიონის, მცირე კავკასიონის და არიდული და სემიარიდული ზონის სუბპოპულაციები. ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკოლოგიური თავისებურებების (განსაკუთრებით არიდული და სემიარიდული ზონის შემთხვევაში) და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ასპექტების გათვალისწინებით, ეს სუბპოპულაციები მიზანშეწონილია ცალ-ცალკე სამენეჯმენტო ერთეულებად მივიჩნიოთ. თრიალეთის ქედის ვრცელ ტყით დაფარულ ტერიტორიებსა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გარცელებული დათვები, საქართველოს მცირე კავკასიონის სუბპოპულაციის ბირთვს წარმოადგენენ და მათი დაცვა-შენარჩუნება მთელი სუბპოპულაციის (ასევე საქართველოს მთელი პოპულაციის) კონსერვაციისთვისაა მნიშვნელოვანი.

წინამდებარე მოქმედებათა გეგმა შემუშავდა პროექტის "ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დანერგვა: ეკოსისტემებისა და სახეობების კონსერვაცია: მურა დათვი (I ფაზა)" ფარგლებში. იგი ეფუძნება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის თანამონაწილეობრივ პრინციპს. მისი დანერგვის ყოველ ეტაპზე გათვალისწინებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, ასევე საერთოდ საზოგადოების მაქსიმალურად ჩართვა. ზოგადი მიდგომა ასევე ეფუძნება ისეთი საკითხების მოგვარებას, რომლებიც დათვისა და ადამიანის თანაარსებობის საშუალებას იძლევა - გეგმა გვთავაზობს კონკრეტულ გზებს იმისათვის, რომ ჩვენს ტყეებში დათვის არსებობა გახდეს არა მარტო მისაღები, არამედ საზოგადოება თავად იყოს დაინტერესებული ველური ბუნების ამ ქარიზმატული წარმომადგენლის შენარჩუნებით.

მურა დათვის კონსერვაციის მოქმედებათა გეგმა საჯარო დოკუმენტია. იგი მოწონებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. თუმცა მისი ცალკეული ქმედებების უშუალო შემსრულებლები ასევე არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, დაინტერესებული ინდივიდები და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

შინაარსი

პრეამბულა.....	3
1. შესავალი.....	5
2. მიზნები.....	5
3. ჰაბიტატის კონსერვაცია.....	6
3.1. არალეგალური ტყის ჭრის საწინააღმდეგო კამპანია.....	6
3.2. რეკომენდაციების შემუშავება სატყეო საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისათვის.....	6
3.3. ტყის ეკოსისტემებში ხელოვნურად გამოწვეული სუქცესიების მონიტორინგი.....	7
4. დათვზე არალეგალური ნადირობის კონტროლი.....	7
4.1 საზოგადოებასა და გარემოს დაცვის ინსპექციას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.....	7
4.2. საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება.....	7
5. კონფლიქტი ადგილობრივ ფერმერებსა და დათვს შორის.....	7
5.1 დათვებისგან მოსავლის დაცვა.....	8
5.2 დათვთან კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის შექმნა.....	8
6. დათვის პოპულაციის აღდგენა.....	9
6.1. მურა დათვის პოპულაციის აღდგენა ალგეთის ნაკრძალში.....	9
6.2. მურა დათვის პოპულაციის აღგენა სამონადირეო მეურნეობა “ფაუნაში”.....	9
7. დათვი და ტურიზმი.....	10
8. არსებული კანონმდებლობა და დათვზე ნადირობა.....	10
9. დათვის პოპულაციის მონიტორინგი.....	11
10. სამეცნიერო კვლევები.....	12
11. "ტყვე" დათვები.....	12
12. მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.....	13
12.1 საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის.....	13
12.2 დაინტერესებული მხარეების დათვის მენეჯმენტის დაგეგმვისა და განხორციელებაში ჩართვა კონსულტაციების გზით.....	13
12.3 თანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან.....	13
12.4 დათვის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და დათვის მენეჯმენტის მონიტორინგი.....	14

1. შესავალი

მურა დათვის კონსერვაციის მოქმედებათა გეგმა ითვალისწინებს ქმედებებს თრიალეთის ქედისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მურა დათვის პოპულაციის¹ გრძელვადიანი კონსერვაციისთვის. დაგეგმილი ქმედებების განხორციელება ნავარაუდებია მომავალი 5 წლის განმავლობაში. გეგმა შემუშავებულია მურა დათვის პოპულაციის მდგომარეობის შესახებ ყოვლისმომცველი ანგარიშის საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია მურა დათვის კონსერვაციისა და მენეჯმენტის სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილება (მაგ. ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორცაა: ხორვატია, შვედეთი, ნორვეგია, და სხვ.). განსაკუთრებით ფართოდაა გამოყენებული ხორვატიის მაგალითი ("მურა დათვის მენეჯმენტის გეგმა ხორვატიის რესპუბლიკისთვის"), რამდენადაც ეს ქვეყანა სოციალურ-დემოგრაფიული თუ ეკოლოგიური მახასიათებლებით ახლოსაა საქართველოსთან.

მიზნის მისაღწევად მოქმედებათა გეგმა განსაზღვრავს ძირითად ამოცანებს, რომელთა თანამიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს მურა დათვის კონსერვაციის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დათვის საბინადრო გარემოს რღვევას, არალეგალურ ნადირობას, დათვის როგორც პოტენციურად ეკონომიკური შემოსავლის მომტანი სახეობის დაცვასა და მართვას, ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებას დათვის მიერ გამოწვეული ზარალის შესამცირებლად და საზოგადოების განათლების საკითხებს.

2. მიზნები

კონსერვაციის მოქმედებათა გეგმის ზოგადი მიზანია თრიალეთის ქედსა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მურა დათვის პოპულაციის კონსერვაცია - დათვის რიცხოვნობის გაზრდა და ისეთი სტაბილური პოპულაციის შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს მის გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას და ადამიანთან თანაცხოვრებას.

მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი კონკრეტული ამოცანებია (თანამიმდევრობა არ გამოხატავს პრიორიტეტულობას):

1. დათვის ჰაბიტატის კონსერვაცია;
2. დათვზე არალეგალური ნადირობის აღმოფხვრა;
3. ადგილობრივ ფერმერებს და დათვს შორის კონფლიქტის შემცირება;
4. ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა ტურიზმის განვითარების გზით (სამომავლოდ, ასევე, შესაძლებელია დაცული ტერიტორიების გარეთ მოწესრიგებული ნადირობის განვითარება);
5. მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და დათვის მენეჯმენტში დაინტერესებული ჯგუფების ჩართვა;
6. დათვის პოპულაციის შემდგომი კვლევა და მონიტორინგი;
7. "ტყვე" დათვების პრობლემის მოგვარება.

¹ ამ გეგმის ფარგლებში "თრიალეთის ქედისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დათვის პოპულაცია" გულისხმობს პროექტის "ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დანერგვა: ეკოსისტემებისა და სახეობების კონსერვაცია: მურა დათვი (I ფაზა)" საკვლევ ტერიტორიაზე მობინადრე ინდივიდთა ჯგუფს. საკვლევ ტერიტორიის საზღვრები უმეტეს შემთხვევაში ეკოლოგიურად გამოყოფილია, თუმცა ზოგან ეს საზღვრები საკმაოდ პირობითია (მაგ. ეროვნული პარკის დასავლეთით; იხ. სახეობის მდგომარეობის ანგარიში).

3. ჰაბიტატის კონსერვაცია

დათვის ჰაბიტატების ხარისხი და ეკოლოგიური სტატუსი განსხვავებულია საკვლევი რეგიონის სხვადასხვა ნაწილში. ტყე კარგად არის შენარჩუნებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. ყველაზე მძიმე სურათი ბაკურიანის სუბრეგიონშია. თუმცა აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია თითქმის ხელუხლებელი ტყის მონაკვეთებიც. ბოლო გამოკვლევებით დათვის რიცხოვნობასა და ტყის ჩეხვის ინტენსივობას შორის რამდენადმე მნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება არ გამოვლენილა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ დათვის პოპულაცია ძირითადად შემცირებულია ნადირობის (ბრაკონიერობის) გამო. ამჟამად, საკვლევი რეგიონის ტყეების საერთო მდგომარეობა, დღევანდელ რიცხოვნობასთან შედარებით, გაცილებით მეტი რაოდენობის დათვების არსებობის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ხე-ტყის (როგორც ლეგალური, ისე არალეგალური) მოპოვების ზრდის ტენდენციას, ჰაბიტატის რღვევა ახლო მომავალშივე არანაკლებ მნიშვნელოვანი მალიმიტირებელი ფაქტორი გახდება დათვის პოპულაციისთვის.

3.1. არალეგალური ტყის ჭრის საწინააღმდეგო კამპანია

ტყის არალეგალურ ჭრაზე კონტროლი სატყეო დეპარტამენტისა და გარემოს დაცვის ინსპექციის პასუხისმგებლობაა. არალეგალურ ჭრასთან ბრძოლაში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ახლად ჩამოყალიბებულ გარემოს დაცვის ინსპექციას ჯერ-ჯერობით არ გააჩნია საკმარისი შესაძლებლობა და რესურსები არალეგალური ჭრის სრულად აღმოსაფხვრელად. ეფექტური მუშაობისათვის მას მეტი მხარდაჭერა ესაჭიროება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან.

არალეგალური ტყის ჭრის საწინააღმდეგო კამპანია მოიცავს: საზოგადოებრივი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას, გარემოს დაცვის ინსპექციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ზრდის ხელშეწყობას და ადგილობრივ მოსახლეობაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

3.2. რეკომენდაციების შემუშავება სატყეო საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისათვის

ბოლო კვლევებმა ვერ გამოავლინეს ტყის ჩეხვის რამდენადმე აშკარა უარყოფითი ზეგავლენა დათვის პოპულაციაზე. თუმცა, თუ ხე-ტყის მოპოვება თანამედროვე ტემპით გაგრძელდა, მას გარდაუვლად მოჰყვება ტყის ფართობისა და ხარისხის შემცირება. შესაბამისად, დათვზე ზეგავლენაც სერიოზული იქნება. ამიტომ, სატყეო სექტორისთვის საჭიროა შემუშავდეს სპეციალური რეკომენდაციები, რათა ხე-ტყის მოპოვება ისე წარიმართოს, რომ თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი ზეგავლენა, როგორც უშუალოდ დათვზე (ასევე სხვა ველურ ცხოველებზე), ისე მათ ჰაბიტატზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დათვისთვის გამორჩეულად მნიშვნელოვან ადგილებს ანუ ისეთ ტერიტორიებს, რომლებსაც დათვები ინტენსიურად იყენებენ საკვების მოსაპოვებლად, თავშესაფრად, საბუნაგედ და ა. შ. (იხილეთ სახეობის სტატუსის ანგარიში). საჭიროა სატყეო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე, რათა მათ გაითვალისწინონ შეთავაზებული რეკომენდაციები.

სატყეო სექტორთან თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ტყეების მოსალოდნელი პრივატიზაციისა/გრძელვადიანი იჯარით გაცემის ფონზე. აუცილებელია, რომ ტყეების მომავალმა "მეპატრონეებმა" თავიანთ საქმიანობაში სრულად გაითვალისწინონ ბიომრავალფეროვნების დაცვის პრინციპები და ხე-ტყის მოპოვება აწარმოონ დათვსა და სხვა ცხოველებზე მინიმალური ზეგავლენის პირობებში.

3.3. ტყის ეკოსისტემებში ხელოვნურად გამოწვეული სუქცესიების მონიტორინგი

ხელოვნურად გამოწვეულ სუქცესიებს, განსაკუთრებით ბაკურიანის სუბრეგიონის ტყეებში, შედეგად მოჰყვება ტყის ეკოსისტემების თვისობრივი ცვლილება. სუქცესიური პროცესების მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები სატყეო სექტორისათვის, რათა შემცირდეს შეუქცევადი ცვლილებების რისკი ტყის სტრუქტურაში, სახეობრივ შემადგენლობასა და ჰაბიტატის ხარისხში.

4. დათვზე არალეგალური ნადირობის კონტროლი

მურა დათვი საქართველოს წითელ ნუსხაში შესულია როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა. შესაბამისად, იგი დაცულია კანონით და მასზე ნადირობა აკრძალულია. თუმცა, დათვზე არალეგალური ნადირობას ადგილი აქვს მთელ საკვლევ რეგიონში, რის გამოც ბრაკონიერობა დათვის პოპულაციის მთავარი მალიმიტრებელი ფაქტორია. არალეგალურ ნადირობაზე კონტროლს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში პარკის ადმინისტრაცია ახორციელებს, ხოლო დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ - გარემოს დაცვის ინსპექცია. ბრაკონიერობა მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და მოქმედი კანონდებლობის შესახებ ინფორმირებულობის დაბალ დონესთან.

4.1 საზოგადოებასა და გარემოს დაცვის ინსპექციას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

აუცილებელია გარემოს დაცვის ინსპექციის ადგილობრივ ქვედანაყოფსა და ადგილობრივ არასამთავრობო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება. შეხვედრებისა და ერთობლივი მუშაობის საშუალებით, გაიზრდება საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა ამ უწყებისადმი.

4.2. საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება

ადგილობრივი მოსახლეობა სრულად უნდა იყოს ინფორმირებული გარემოსდაცვითი ინსპექციის როლისა და მურა დათვის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ.

5. კონფლიქტი ადგილობრივ ფერმერებსა და დათვს შორის

საკვლევ რეგიონში დათვები თავს ესხმიან შინაურ პირუტყვს და ანადგურებენ ნათესებს. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია ბორჯომისა და ხარაგაულის რაიონებში, სადაც სასოფლო

სამეურნეო ნაკვეთები ტყის სიახლოვესაა განლაგებული. ადგილობრივ მოსახეობასთან კონფლიქტის გამო, იზრდება დათვების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და, ზოგჯერ, ადამიანები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ მათ გასანადგურებლად. ადგილობრივი ფერმერებისთვის მიყენებული ზარალის შემცირება დათვის პოპულაციის ეფექტური მართვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს. ამისათვის აუცილებელია როგორც პრევენციული ღონისძიებების გატარება, ისე პრობლემური დათვების მოშორება (თუმცა დათვები დაცულია კანონით, ამჟამინდელი კანონდებლობა ითვალისწინებს ისეთი ინდივიდების ამოღებას, რომელიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს და/ან მის ქონებას).

5.1 დათვებისგან მოსავლის დაცვა

მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიებები (ელექტრო ღობეები, სიგნალიზაციის ჩამრთველი სპეციალური ხელსაწყოები და სხვა). ზოგი მათგანი არ არის ძალიან ძვირი და განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკვლევ რეგიონში. ყანების დაცვის თანამედროვე მეთოდების გამოყენება და ტესტირება შესაძლებელია საპილოტო პროექტის ფარგლებში.

5.2 დათვთან კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფის შექმნა

დღესდღეობით მთავრობის მხრიდან არანაირი გამოხმაურება არ არის პრობლემური დათვების მიერ საქონლზე თავდასხმის, ფუტკრის სკების დარბევისა და ნათესების განადგურების ფაქტებზე. დაზარალებული ფერმერები იძულებული არიან თავად მოაგვარონ ეს საკითხი. მათი ქმედებები, როგორც წესი, სპონტანური და არაეფექტურია, რის გამოც კიდევ უფრო იზრდება მტაცებლის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულება. შექმნილი მდგომარეობის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა თავს მიტოვებულად გრძნობს. აუცილებელია სპეციალური, "სწრაფი რეაგირების" ჯგუფის არსებობა, რომელიც სრულად იქნება აღჭურვილი და უფლებამოსილი გადაწყვიტოს პრობლემური დათვების საკითხი.

გარემოს დაცვის რეგიონალურ სამსახურთან, გარემოს დაცვის ინსპექციასთან, ადგილობრივ დაინტერესებულ პირებთან და სხვა შესაბამის სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩამოყალიბდება ველურ ცხოველებთან კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი. ასეთი ჯგუფი, პირველ ეტაპზე, ჩამოყალიბდება ბორჯომისა და ხარაგაულის რაიონებისათვის, ხოლო მათი ეფექტურობის გამოცდის შემდეგ მსგავსი ჯგუფების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნება სხვაგანაც, სადაც დათვები ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას.

რეაგირების ჯგუფი, სავარაუდოდ, დაკომპლექტდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონული სამსახურის, ადგილობრივი მმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, მასში ასევე შევლენ ექსპერტები და ადგილობრივი მონადირეები. ჯგუფის წევრები გაივლიან სათანადო მომზადებას და მიიღებენ შესაბამის აღჭურვილობას. ჯგუფი დაუყოვნებლივ გააკეთებს რეაგირებას ყველა შეტყობინებაზე როცა:

- დათვმა ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას;
- ნანახი იქნა სხვადასხვა მიზეზით დაღუპული ინდივიდები;
- დაფიქსირდა პრობლემური დათვი.

მოსახლეობას შეეძლება დაუკავშირდეს რეაგირების ჯგუფს ყველა პროცედურულ საკითხზე, განსაკუთრებით კი დათვის მიერ ადამიანზე თავდასხმის შემთხვევაში. ჯგუფი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობით (მაგალითად საიმობილიზაციო და რეზინის ტყვიებიანი თოფებით, ხმაურის გამომცემი მოწყობილობით, დათვის ცოცხლად დასაჭერი ხაფანგებით და სხვა).

რეაგირების ჯგუფი დაუყოვნებლივ მიდის იმ ადგილას, სადაც დათვი საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობისათვის (მაგალითად თუ ნაპოვნია ხაფანგში გაბმული დათვი) ან სადაც ადგილი აქვს კონფლიქტს დათვისა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის.

პრობლემური დათვის და ან შემთხვევის ადგილის შესწავლის შემდეგ ჯგუფი, საჭიროებისამებრ, შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის გზას და მიმართავს შესაბამის უწყებებს. დათვებთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული პრობლემის გადაჭრა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. (მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, რეაგირება შესაძლოა გულისხმობდეს: ცხოველის დაშინებას და მასში უარყოფითი პირობითი რეფლექსების ჩამოყალიბებას სხვადასხვა მეთოდით, როგორცაა, რეზინის ტყვიები, გამოდევნება, ხმაურის გამოწვევი საგნები, მაგ. საახალწლო "ასაფეთქებლები"; პრობლემური დათვის დაჭერას და დანიშვნას, მის გადაადგილებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით; პრობლემური დათვის გადაყვანას სხვა ადგილას; მის დაჭერას და, თუ ეს შესაძლებელია, ტყვეობაში მოთავსებას; გამოუვალ სიტუაციაში კი, ცხოველის ჰუმანური მეთოდით მოკვლას).

რეაგირების ჯგუფი იმოქმედებს სპეციალური პროტოკოლის მეხედვით. იგი ასევე, შეეცდება აღკვეთოს ისეთი სიტუაციები, რომელთაც შეიძლება ხელი შეუწყონ პრობლემური დათვების და „ობოლი“ ბელების წარმოქმნას.

6. დათვის პოპულაციის აღდგენა

6.1. მურა დათვის პოპულაციის აღდგენა ალგეთის ნაკრძალში

დღესდღეობით, კარგად შემონახული ჰაბიტატის (ტყეების) მიუხედავად, თეთრიწყაროს სუბრეგიონში დათვი იშვიათობას წარმოადგენს. საჭიროა სპეციალური ღონისძიებების გატარება დათვის პოპულაციის ბუნებრივად აღდგენის ხელშეწყობის მიზნით სუბრეგიონის იმ ადგილებში, სადაც ეს შესაძლებელია, როგორც ეკოლოგიური, ისე სოციალური თვალსაზრისით. ერთ-ერთ ასეთ ადგილს ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ მცირე ზომისაა (6400 ჰა), ნაკრძალში შემორჩენილია ჰაბიტატი, როგორც დათვისთვის ისე სხვა ველური ცხოველებისათვის. ამიტომ ადექვატური დაცვის შემთხვევაში ამ ნაკრძალმა შეიძლება შეასრულოს ველური ცხოველების თავშესაფრის ფუნქცია. ამ მიზნის მისაღწევად, ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალისთვის აუცილებელია სათანადო მენეჯმენტის გეგმის შემუშავება. ალგეთის ნაკრძალის მენეჯმენტის გეგმისთვის მურა დათვი უნდა იყოს ერთ-ერთი საკვანძო სახეობა. ტერიტორიის ეფექტურად მართვისთვის აუცილებელია ნაკრძალის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. იდეალურ შემთხვევაში, დაცული ტერიტორია უნდა გაფართოვდეს ეკოლოგიურად ეფექტურ ზომამდე. ამისათვის კი უნდა ჩატარდეს ტერიტორიის შეფასება და სივრცული დაგეგმვა.

6.2. მურა დათვის პოპულაციის აღგენა სამონადირეო მეურნეობა “ფაუნაში”

კერძო სამონადირეო მეურნეობა “ფაუნა” მდებარეობს გორის რაიონში და მოიცავს დაახლოებით 21,000 ჰა ტყიან ზონას. მურა დათვი წარმოადგენს ერთ-ერთ საკვანძო სახეობას ამ რეგიონში, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარების კუთხით. როგორც წითელ ნუსხაში შესული სახეობა, დათვზე ნადირობა აკრძალულია (მათ შორის სამონადირეო მეურნეობაში). მომავალში, შესაბამისი საკანონდებლო ცვლილებების პირობებში, თუ სამონადირეო მეურნეობა გაატარებს ეფექტური ღონისძიებებს და სამეცნიერო შეფასება დაადასტურებს დათვის რიცხოვნობის სტაბილურ მატებას, მას შეიძლება მიეცეს ნებართვა აწარმოოს შეზღუდული სატროფეო ნადირობა (ასევე იხ. მე-7 თავი).

ამ ეტაპზე სამონადირეო მეურნეობაში რეკომენდებულია ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ტერიტორიის ეფექტური დაცვა;
- დათვის მონიტორინგი;

7. დათვი და ტურიზმი

მურა დათვი იმ ცხოველების რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც პოტენციურად შეუძლიათ ეკო-ტურისტების მოზიდვა. აქედან გამომდინარე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მურა დათვი განხილულ უნდა იქნას როგორც ერთ-ერთი საკვანძო სახეობა. ამ კუთხით ტურიზმის განვითარება ორ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული:

1. სახეობის სიმჭიდროვე უნდა იყოს საკმარისად მაღალი და
2. მაქსიმალურად უნდა იყოს გაზრდილი ცხოველის დანახვის შესაძლებლობა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:

- დათვების მონიტორინგი ეროვნულ პარკში (ასევე მოიცავს პარკის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერებას);
- დათვის პოპულაციის ბუნებრივი ზრდის ხელშეწყობა ეფექტური დაცვის გზით;

8. არსებული კანონმდებლობა და დათვზე ნადირობა

მურა დათვი შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში და ამჟამინდელი კანონმდებლობის შესაბამისად დათვზე ნადირობა აკრძალულია. მიუხედავად ამისა, მეორე მხრივ, ქვეყანაში ფართოდაა გავრცელებული არალეგალური ნადირობა, რომელიც უარყოფითად მოქმედებს დათვის პოპულაციის მდგომარეობაზე. არალეგალური ნადირობა მთელი ქვეყანის მასშტაბით შეიმჩნევა (უხეში გათვლებით, წელიწადში ბრაკონიერები 100-მდე დათვს კლავენ). არალეგალური ნადირობა ინტენსიურია საკვლევ რეგიონშიც. ბრაკონიერობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მალიმიტირებელ ფაქტორს, რის გამოც დათვის რიცხოვნობა გაცილებით მცირეა ვიდრე თრიალეთის ქედისა და ეროვნული პარკის ჰაბიტატის ტევადობა. კანონდასრულებითი ქმედებების გარდა, პრობლემის გადაჭრის ერთერთი გზა კონტროლირებადი და კარგად ორგანიზებული ნადირობის ხელშეწყობა შეიძლება იყოს. სხვა ქვეყნების გამოცდილება (მაგალითად ხორვატია და შვედეთი) გვაჩვენებს, რომ სატროფეო ნადირობას შეუძლია მნიშვნელოვანად გაზარდოს დათვის ფასეულობა, როგორც მონადირეთა, ისე ადგილობრივი მოსახლეობის თვალში. სატროფეო ნადირობა ასევე ზრდის მოთხოვნას დათვის პოპულაციის სწორ მენეჯმენტზე და რიცხოვნობის შენარჩუნებაზე იმ

დონეზე, რომ შესაძლებელი იყოს ნადირობა გრძელვადიან პერსპექტივაში. ამისათვის მიზანშეწონილია, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, განხილული იქნას კანონდებლობაში შესაბამისი ცვლილების საკითხი, რათა შესაბამისი პირობების დაცვის შემთხვევებში, დაშვებული იყოს კონტროლირებადი ნადირობა (მაგალითად სატროფეო ნადირობა შესაძლებელია დაშვებულ იქნას, მხოლოდ იმ სამონადირეო მეურნეობებში, სადაც დათვების მონიტორინგის პარალელურად, ხორციელდება ეფექტური ქმედებები დათვის რიცხოვნობის გასაზრდელად).

9. დათვის პოპულაციის მონიტორინგი

დათვის პოპულაციის მონიტორინგი განხორციელდება ზოგადად ბიმრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში. იგი გულისხმობს ჰაბიტატში დათვების მიერ დატოვებული ნიშნების აღრიცხვას და ინდივიდების აღრიცხვას ხელოვნურად მოწყობილ საკვებ ადგილებზე. ასევე, ჩატარდება დათვის ოჯახების (ძუ დათვები ერთწლიან ან ორწლიან ბელებთან ერთად) რაოდენობისა და შემადგენლობის აღრიცხვა. აღრიცხვებისათვის გამოყენებული იქნება სპეციალური ფორმები. ასეთი ტიპის მონიტორინგი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ პოპულაციის რიცხოვნობის ინდექსები, რომელიც გვიჩვენებს პოპულაციის ცვლილების მიმართულებას წლიდან წლამდე. დათვის მონიტორინგში სასურველია ჩაერთოს მოსახლეობის ფართო სპექტრი: ადგილობრივი ფერმერები, მეტყველები, მილსადენის მიერ დაქირავებული პერსონალი, ადგილობრივი მონადირეები და სხვა ადამიანები, რომლებიც თავისი ყოველდღიური სამუშაოდან გამომდინარე დროის დიდ ნაწილს ატარებენ ბუნებაში.

დათვის მონიტორინგის სპეციალური აქტივობები განხორციელდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. პოპულაციის რიცხოვნობის ინდექსების გამოთვლის გარდა, სასურველია მონიტორინგის უფრო ზუსტი მეთოდების გამოყენებაც. მაგალითად, პარკში დათვის აბსოლუტური რიცხოვნობის დადგენისთვის გამოყენებული იქნება გენეტიკური იდენტიფიკაციის მეთოდი. დათვის ახალი ექსპრემენტებიდან აღებული ნიმუშები, მოგვცემს მასალას გენეტიკური იდენტიფიკაციისთვის დნმ-ის გამოსაყოფად. საკმარისი რაოდენობის ნიმუშების გენეტიკური ანალიზით შესაძლებელია დათვის პოპულაციის რეალური რიცხოვნობის დადგენა 10%-იანი ცდომილებით. განსაკუთრებით ზუსტია შედეგები თუ მონაცემები აღებულია დროის შეზღუდულ მონაკვეთში და საკვლევი ტერიტორია მეტნაკლებად შემოსაზღვრულია. ამ მონაცემის გამოყენებით შესაძლებელია რიცხოვნობის ინდექსების კალიბრაცია (ანუ შესაძლებელია დადგინდეს თუ რა დამოკიდებულებაა რიცხოვნობის ინდექსსა და პოპულაციის რეალურ რიცხოვნობას შორის). შესაბამისად, შესაძლებელი გახდება შედარებით მარტივად გამოსათვლელი ინდექსის გადაყვანა დათვის პოპულაციის რეალურ რიცხოვნობაში. გენეტიკური მეთოდის გამოყენებით პოპულაციის აბსოლუტური ზომის განსაზღვრა დაგეგმილია ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ, ხოლო მონაცემების აღება პოპულაციის რიცხოვნობის ინდექსების გამოსათვლელად - ყოველწლიურად. გარდა სრული რიცხოვნობისა, გენეტიკური მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ პოპულაციის ეფექტური ზომა (პოპულაციის ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობას იღებს გამრავლებაში), პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების დონე, გამრავლებაში მონაწილე ხვადების რაოდენობა, კავშირი როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ პოპულაციებთან (მაგალითად დიდი კავკასიონის დათვის პოპულაციასთან), ისევე მეზობელი ქვეყნების დათვის პოპულაციებთან.

პოპულაციის ზომის განსაზღვრის გენეტიკური მეთოდი ემყარება მეცნიერულ საფუძვლებს და იძლევა ობიექტური შეფასების საშუალებას. მას უნდა დაეფუძნოს პოპულაციის მართვასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება.

10. სამეცნიერო კვლევები

პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა დათვის ეკოლოგიის მნიშვნელოვანი ასპექტები გამოავლინა, რასაც ეფუძნება თრიალეთის ქედისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამოქმედო გეგმა. თუმცა, ბევრი საკითხი (დათვის ინდივიდუალური ტერიტორიის ზომა, დღე-ღამური და სეზონური მიგრაცია და სხვ.) მაინც გაურკვეველი რჩება. დათვის ეკოლოგიის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული პარკის ეფექტური მართვისთვის. სწორედ ამიტომ, დათვის კვლევა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. ხარჯების ეფექტურად გამოყენების თვალსაზრისით, მიზანშეწონილია კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა რადიო-ტელემეტრია. ეს მეთოდი საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ დათვის სეზონური მიგრაცია, ინდივიდუალური ტერიტორია, დათვების მოძრაობა ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ (სადაც ის კონფლიქტში შედის ადგილობრივ ფერმერებთან). დამატებით, საჭიროა დათვის კვებითი ეკოლოგიისა და რეპროდუქციის შესწავლა. მიღებული ინფორმაცია სახეობის უკეთესად მართვის, ზოგადად ეროვნული პარკის ეფექტურობის გაზრდისა და ეკოტურიზმის განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს.

ზოოლოგიური და ეკოლოგიური კვლევების გარდა, მიზანშეწონილია ჩატარდეს დეტალური შესწავლა დათვის შინაურ პირუტყვზე თავდასხმისა და მოსავლის დაზიანების აღსადრცხად, დათვის თავდასხმით გამოწვეული ეკონომიკური ზარალის შესაფასებლად. ასევე მნიშვნელოვანია გარემოსდაცვით-ეკონომიკური შეფასების განხორციელება, რომლის მიზანი იქნება დათვის მონეტარული ფასეულობის განსაზღვრა. ასეთი კვლევები საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ დათვის კონსერვაციის ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ასპექტები.

11. "ტყვე" დათვები

ტყვე დათვები ცხოველთა უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და პრობლემატური საკითხია ქვეყანაში. კლიენტების მოზიდვის მიზნით, გალიებში დამწყვდეული დათვები ყავთ ავტოგასამართ სადგურებსა და გზისპირა რესტორნებს. ზოგჯერ ქუჩის ფოტოგრაფებს საბელით დაჰყავთ პატარა ბელები და კლიენტებს მასთან სურათის გადაღებას თავაზობენ. უმეტეს შემთხვევაში დათვები უკიდურად მძიმე მდგომარეობაში არიან: გალიები იმდენად მცირე ზომისაა, რომ ცხოველს თავისუფლად მობრუნების საშუალებაც კი არ აქვს; ხშირად გალიებს არავინ ასუფთავებს; ცხოველი მოკლებულია ადექვატურ კვებას და ზოგჯერ სუფთა წყალსაც კი; რომ არაფერი ვთქვათ ვეტერინარულ მომსახურებაზე. ამასთან, უმეტესად, აბსოლუტურად დაუცველია მოქალაქეთა უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები. ძალიან ხშირია, როცა მფლობელს აღარ უნდა ან აღარ შეუძლია დათვის შენახვა (ზოგი მათგანი კლავს კიდეც თავის ცხოველს).

ტყვე დათვების პრობლემის მოგვარება უშუალოდ უკავშირდება დათვის ველური პოპულაციის კონსერვაციის საკითხს. თითქმის ყველა დათვი, რომელიც დღეს კერძო მფლობელობაშია ბრაკონიერების მიერაა დაჭერილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში. დათვის ბელს, როგორც წესი, იჭერენ მას შემდეგ, რაც დედას კლავენ. შესაბამისად, ერთი ტყვე დათვი ველური პოპულაციიდან ამოღებულ მინიმუმ ორ ინდივიდს ნიშნავს.

რამდენადაც, კერძო მფლობელობაში მყოფი ყველა დათვი უკანონოდ იქნა მოპოვებული, ბუნებრივია, ისინი კონფისკაციას უნდა დაექვემდებარონ. მაგრამ, ამ კუთხით მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჩამორთმეული დათვების

განთავსება და რეაბილიტაცია. საქართველოში არსებულ ზოოპარკებს არ შეუძლიათ ამ დათვების მიღება. ადექვატური კონტროლისა და პრევენციული ზომების გარეშე უკანონოდ დატყვევებული დათვების კონფისკაციას გრძელვადიან პერსპექტივაში რეალური ეფექტი არ ექნება. ცხადია, რომ ტყვე დათვების პრობლემის მოგვარება საკმაოდ კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტი მონაცემები ტყვე დათვების პრობლემის სხვადასხვა ასპექტების შესახებ, რაც ართულებს შესაბამისი ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვას.

ტყვე დათვების პრობლემის გადასაჭრელად პირველ ნაბიჯს წარმოადგენს საკითხის სრულმასშტაბიანი შეფასება და შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარესთან იქნება შეთანხმებული. ამის, შემდგომ, უკვე უნდა დაიწყოს ამ სამოქმედო გეგმის თანამიმდევრული განხორციელება.

12. მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

დათვის მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელებისთვის და სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საჭიროა კოორდინირებული მოქმედება. ამის მიღწევა შესაძლებელია მოსახლეობისა და ყველა დაინტერესებული მხარის დროული ინფორმირებისა და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის გზით.

12.1 საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის

საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის მიზანია მოსახლეობის მხადაჭერის მოპოვება დათვის მენეჯმენტის განხორციელებისას, მათი დროული ინფორმირება და ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამისთვის საჭიროა ინფორმაციის ადაპტირება და ინფორმაციის მიწოდება სათანადო ფორმით და სამიზნე ჯგუფებისთვის გასაგებ ენაზე. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ: ადგილობრივი მოსახლეობა, მეტყვევები, ფერმერები, მონადირეები, სკოლის მოსწავლეები და სხვ. ასევე დაგეგმილია სამიზნე ჯგუფების ინფორმირება იმ მეთოდების შესახებ, თუ როგორ აიცილონ თავიდან დათვის თავდასხმა და ეკონომიკური ზარალი; აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება პრობლემური დათვების წარმოშობის პრევენცია.

12.2 დაინტერესებული მხარეების დათვის მენეჯმენტის დაგეგმვისა და განხორციელებაში ჩართვა კონსულტაციების გზით

მურა დათვის სამოქმედო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებები უნდა იყოს გათვალისწინებული. წელიწადში ერთხელ, გაიმართება სამუშაო შეხვედრა ყველა დაინტერესებული ჯგუფის მონაწილეობით, სადაც მოხდება განვლილი წლის შეფასება და დაიგეგმება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა.

12.3 თანამშრომლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან

ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს დათვის პოპულაციის მდგომარეობის, ასევე ნებისმიერი განსაკუთრებული სიტუაციის შესახებ (მაგალითად დათვის პრობლემური ინდივიდების გაჩენა, ან დედის გარეშე დარჩენილი ბელები). მნიშვნელოვანია, ადგილობრივი

მოსახლეობის ინფორმირება თუ როგორ, ვის და სად უნდა მიაწოდონ დათვის მენეჯმენტის, დათვის მიერ გამოწვეული ზარალის და საფრთხეების შესახებ თავიანთი შეხედულებები.

12.4 დათვის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და დათვის მენეჯმენტის მონიტორინგი

დათვის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ სახეობის მენეჯმენტსა და სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღებაში. ამიტომ აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის აზრის მონიტორინგი სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა მეთოდებით.